

მომზადებულია სატელევიზიო გადაცემისთვის: “აგრო ბიზნესი”

მომზადებულია “ENPARD Ajara”-ს პროგრამის ფარგლებში,
გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ,
ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

საორიენტაციო ბიზნეს გეგმა

თხილის გადამუშავება, დაფასოება და რეალიზაცია

მოცემული დოკუმენტის მიზანია მკითხველს შეუქმნას ძირითადი წარმოდგენები განხილული ბიზნეს პროექტის რენტაბელობასთან დაკავშირებით, ასევე შეუქმნას მას წარმოდგენა ისეთ მნიშვნელოვან ბიზნეს ნიშნულებზე, როგორცაა თვითღირებულება, მუდმივი ხარჯები, მოგება/ზარალი, ფულადი სახსრების მოძრაობა, უკუგების კოეფიციენტი, მოგების მარჟა, საინვესტიციო ღირებულება და სხვა.

შესაბამისი სატელევიზიო ვერსიები შეგიძლიათ იხილოთ:

1. აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ვებ-გვერდზე: <http://ajaratv.ge/ge/shows>
2. Facebook გვერდზე: <https://www.facebook.com/agrorchevebi>
3. ოფიციალურ Youtube არხზე: <https://www.youtube.com/user/Phiruzi>

გადაცემაში მოყვანილი მოსაზრებები

ავტორისეულია და შესაძლოა არ ემთხვეოდეს

ევროკავშირისა და გაეროს მოსაზრებებს

ძირითადი ინფორმაცია

საზოგადოება იურიდიული პირია. იგი იურიდიული პირის სტატუსს და უფლებამოსილებას იძენს სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. საზოგადოების ოფიციალური ენაა ქართული.

საზოგადოების საქმიანობის საგანს წარმოადგენ თხილის გადამუშავება, დაფასოება და რეალიზაცია. საზოგადოების ძირითადი მიზანი არის მოგების მიღება.

პროექტი გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე, საზოგადოების ამოცანა არის ბაზრების ათვისება და პროდუქტის ასორტიმენტის მუდმივი ზრდა. საწარმო განთავსებული იქნება ბათუმის ერთ-ერთ გარეუბანში, დისტრიბუციისთვის ხელსაყრელ ადგილას.

წინაპირობები

1. ბიზნეს-გეგმა შემუშავებულია ერთწლიან საანგარიშო პერიოდზე;
2. ხარჯები და შემოსავლები დათვლილია აქარაში მოქმედი საბაზრო ფასების მიხედვით;
3. პროექტით გათვალისწინებულია 10,4 ტონა თხილის გადამუშავება-შეფუთვა-რეალიზაციას;
4. თხილის გამოსავლიანობის მაჩვენებლად აღებულია საერთო რაოდენობის 42 პროცენტი;
5. შესაფუთი თხილი არის შერეული სახეობის;
6. გასაყიდი შეფუთვები წარმოდგენილია 50 და 150 გრამიანი პაკეტების სახით;
7. პროდუქციის სარეალიზაციო ბაზარი შემოიფარგლება ქალაქ ბათუმით;
8. წარმოების ძირითადი საშუალებების განთავსებისა და საწარმოო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია 100 კვადრატული მეტრის ფართი;
9. ბიზნესის საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 183 000 ლარს;
10. ბიზნესის რენტაბელობა დათვლილია, როგორც საკუთარი, ასევე მოზიდული სახსრების შემთხვევაში;

11. საგადასახადო ვალდებულებები ნაჩვენებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
12. წლის ბოლოს არ არსებობს საქონლის მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები;
13. გაანგარიშებები გაკეთებულია ეროვნულ ვალუტაში.

ბაზრის ანალიზი

მსოფლიო ბაზარზე არსებული მოთხოვნის გაზრდის შემდეგ თხილი საქართველოში პერსპექტიული კულტურების სათავეში მოექცა. დღეს უკვე თითქმის აღარავინ კამათობს იმაზე, რომ მას დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია და ქვეყნისა და ადგილობრივი ფერმერებისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია. თუმცა, არანაკლები სარგებლის მიღება თხილის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზეც შეუძლია.

ჩვენს მიერ ჩატარებული მცირემაშტაბიანი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბათუმში მოქმედი 10 მსხვილი და მცირე ზომის სავაჭრო ობიექტებში მოხალული და შეფუთული თხილის რეალიზაციამ 2014 წელს ჯამში 12 ტონას გადააჭარბა. შესაბამისად, თითოეული მათგანის მიერ წლის განმავლობაში რეალიზებულმა პროდუქციის რაოდენობამ, საშუალოდ, 1 ტონა და 200 კილოგრამი, ხოლო თვის განმავლობაში 100 კილოგრამი შეადგინა. როგორც ვიცით, სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს მიერ ბათუმში 600-ზე მეტი სურსათით მოვაჭრე დიდი და მცირე ობიექტია აღრიცხული. თუ ამ მონაცემებით ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ ადგილობრივ სავაჭრო ქსელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეფუთული თხილი მხოლოდ 300 ობიექტში გაიყიდება, წლის განმავლობაში, 360 ტონა პროდუქციის რეალიზების პოტენციალი გააჩნია. ეს კი დიდი რაოდენობით იმპორტირებული თხილის არსებობის პირობებშიც, ბაზრის დიდ რესურსტევადობაზე მიუთითებს. რაც შეეხება სარეალიზაციო არხებს, იგივე მაჩვენებლების გათვალისწინებით, 10 ტონა და 400 კილოგრამი თხილის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გასაყიდად სრულიად საკმარისია 10 ობიექტიც კი, რაც მაღაზიების საერთო რაოდენობის 1,5 პროცენტია, ეს კი პირდაპირ მიგვანიშნებს ბაზრის დიდ რესურსტევადობაზე.

პროდუქცია

საწარმოს შეუძლია ნებისმიერი სახეობის თხილის გადამუშავება/რეალიზაცია. თუმცა პროექტისთვის თხილის სახეობად აღებულია შერეული თხილი. სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 50 და 150 გრამიანი ქილების სახით; პროექტის ფარგლებში საწარმო ახორციელებს 10 400 კგ თხილის გადამუშავებას.

ფიქსირებული აქტივები

საწარმოო პროცესში საჭირო ძირითადი საშუალებები:

N	დასახელება	ღირებულება
1	ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	500
2	კომპიუტერი	600
3	ბუღალტრული პროგრამა	800
4	სასწორი	235
5	ტენიანობის საზომი ხელსაწყო	2000
6	ფარული სიდამპლის საზომი (გილიოტინა)	100
7	თხილის სატეხი მოწყობილობა	3500
8	თხილის გულის საწმენდი მოწყობილობა	6000
9	თხილის გულის მოსახალი მოწყობილობა	5315
10	თხილის გულის შესაფუთი მოწყობილობა	10800

ეს არის ძირითადი საშუალებების მინიმალური ოდენობა, რომელიც თხილის საწარმოებლად საწარმოს არსებობის პირველი წლისათვის იქნა გათვალისწინებული ბიზნეს გეგმის შემუშავებისას.

ადამიანური რესურსები

საწარმოს ბიზნეს საქმიანობის პირველი წლისათვის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა 6 თანამშრომელი, რომელთაც განსაზღვრული ექნებათ კონრეტული ამოცანები. სათავეში იდგება საწარმოს *მენეჯერი*, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ბიზნეს პროცესს (დარიცხული ხელფასი 1000 ლარი თვეში). შემდეგი რგოლი სტრუქტურაში იქნება *ტექნოლოგი*, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიების ცოდნას და პრაქტიკულ წარმართვას

(დარიცხული ხელფასი 800 ლარი თვეში). ასევე მნიშვნელოვანია *ტექნიკური პერსონალი*, რომლებიც უშუალოდ იქნება ჩართული ყოველდღიურ ოპერაციულ საქმიანობაში. საწარმოს ეყოლება სულ ორი ტექნიკური პერსონალი. (თითოს დარიცხული ხელფასი იქნება 375 ლარი თვეში). ასევე იქნება *გადასარჩევი საამქროს პერსონალი*, რომლის ვალდებულებულაც იქნება საწარმოო პროცესში თხილის გადარჩევა, დახარისხება (ყოველ სამუშაო დღეს დარიცხული 10 ლარი). საწარმოს სტრუქტურის ფინანსური ჯგუფის წარმომადგენელი იქნება *ბუღალტერი*. მის მოვალეობაში შევა საწარმოს ფინანსური ნაკადების რეგულირება, წლის ბოლოს საწარმოს ბიუჯეტის ბალანსირება და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა (დარიცხული ხელფასი 300 ლარი თვეში).

ფინანსური ინფორმაცია

აღნიშნული ბიზნესის დასაწყებად საჭიროა 183 000 ლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება. ეს არის ის თანხა, რომელიც ძირითადი საშუალებების, ნედლეულის და შესაფუთი მასალების შეძენას და სხვა ხარჯების გასტუმრებას უნდა მოხმარდეს.

საქმიანობის საწყის ეტაპზე, საწარმოს მიერ უნდა მოხდეს თხილის გადამუშავებისათვის საჭირო აპარატების შეძენა. აღნიშნული ბიზნეს - გეგმა გათვლილია თხილის პოლიეთილენის პარკებში შეფუთულ პროდუქციის რეალიზაციაზე. ბიზნეს გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი წარმოადობის მანქანა-დანადგარები:

- თხილის სატეხი მოწყობილობა - წარმადობა: 400 კილოგრამი/საათში, ძაბვა: 220 ვოლტი, სიმძლავრე: 1,5 კილოვატი.
- თხილის გულის საწმენდი მოწყობილობა - წარმადობა: 200 კილოგრამი/საათში, ძაბვა: 380 ვოლტი-50 ჰერცი-3 ფაზა, სიმძლავრე 0.74 კილოვატი.
- თხილის გულის მოსახალი მოწყობილობა - წარმადობა: 30-დან 50 კილოგრამამდე/საათში, კვების წყარო: ელექტროობა ან გაზი, სიმძლავრე: 1,1 კილოვატი.

- თხილის გულის შესაფუთი მოწყობილობა - წარმადობა: 20-დან 40 პაკეტამდე/წუთში, შესაფუთი წონები: 10-დან 300 გრამამდე, ძაბვა: 220 ვოლტი-50 ჰერცი, სიმძლავრე 1,8 კილოვატი.

წარმოების ძირითადი საშუალებების განთავსებისა და საწარმოო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია 100 კვადრატული მეტრის ფართი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში აღებული იჯარის პირობით, იჯარის თანხა შეადგენს თვიურ 800 ლარს დღგ-ს გარეშე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საწარმოს სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 50 და 150 გრამიანი შეფუთვის სახით; კომპონენტები რომლებიც თითოეული პროდუქტის თვითღირებულების ფორმულირებას ახდენენ არის პოლიეთილენის ფირი, ეტიკეტი და თავად თხილი. აქარაში მოქმედი საბაზრო ფასების მიხედვით, 1 კილოგრამი თხილის საშუალო შესასყიდი ფასი 8 ლარია. ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, შეგვიძლია ვნახოთ რა ღირებულებისაა თითოეული წარმოებული პროდუქტი :

გაყიდული თხილის გული	ქილების შეფუთვა კგ-ში	ტარის ფასი			სულ ერთეულის ღირებულება
		პოლიეთილენის ფირი	ეტიკეტი	თხილის ღირებულება	
1	2	3	4	5	6
შერეული	0,150	0,18	0,10	2,87	3,15
	0,050	0,08	0,04	0,93	1,05

თხილის გაყიდვების დინამიკის ანალიზმა აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მსგავსად მისი რეალიზაციაც სეზონურობით ხასიათდება. კერძოდ, გაყიდვების ყველაზე მეტი წილი, 50 პროცენტი, მოდის მეოთხე კვარტალზე, 25 პროცენტი - მესამე კვარტალზე, 20 პროცენტი პირველ კვარტალზე, ხოლო ყველაზე მცირე, 5 პროცენტი მეორე კვარტალზე. გაყიდვადობის მიხედვით, შეფუთვებს შორის, ყველაზე მეტად რეალიზებადია 50 გრამიანი პაკეტები, ხოლო შედარებით ნაკლებად რეალიზებადი 150 გრამიანები.

ამ მოცემულობების გათვალისწინებით, შესყიდვების მაჩვენებლები კვარტლების მიხედვით ასეთი იქნება:

შესყიდული თხილი	კბ	ლიტრული	4 კვარტალი			1 კვარტალი			2 კვარტალი			3 კვარტალი		
			კბ	ერთეული	ფასი	კბ	ერთეული	ფასი	კბ	ერთეული	ფასი	კბ	ერთეული	ფასი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
თხილი	0,150	3,15	760	5090	15980	300	2 040	6 400	80	510	1 600	380	2 550	8 000
	0,050	1,05	1420	28 390	30440	570	11360	12180	140	2 840	3 040	710	14200	15220
ჯამი:			2 180	33480	30440	870	13400	18580	220	3 350	4 640	1 090	16750	23220

რაც შეეხება რეალიზაციას, აჭარაში თხილის საშუალო სარეალიზაციო ფასს, 150 გრამიანი შეფუთვისათვის იქნება 7 ლარი, ხოლო 50 გრამიანი შეფუთვისათვის 2 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით გაყიდვებისა მაჩვენებლები ჯამურად ასეთი იქნება:

ამონაგები თანხა რეალიზაციიდან	ქილებს შეფუთვა კგ-ში	ერთეული ქილის ფასი	სულ შემოსავალი		სულ შემოსავალი რეალიზაციიდან
			სულ რეალიზებული კგ	სულ რეალიზებული ერთეული	
1	2	3	4	5	6
თხილი	0,150	7,00	1 529	10 192	71 344
	0,050	2,00	2 839	56 784	113 568
ჯამი:			4 368	66 976	184 912
ნაჭუჭი		0,10	6 032	0	603
ჯამი			6 032	0	603
სულ ჯამი			10 400	66 976	185 515

მოგება და ზარალი

იმისათვის რომ შევაფასოთ კომპანიის ფინანსურის შესრულება დროის მოცემულ მომენტში, უნდა განვიხილოთ საწარმოს მოგება/ზარალის უწყისი. ეს არის ხარჯებისა და შემოსავლების შეპირისპირება, რომელიც გვაძლევს საშუალებას ფინანსურის ანალიზისთვის.

განმავლობაში, შეადგენს 24 600 ლარს, (დანარჩენი 2 თანამშრომლის ხელფასი ჩართულია საქონლის თვითღირებულების ხარჯებში), კომუნალურ ხარჯებს, რომელიც აღწევს 360 ლარს (დანადგარების ელექტროენერგიის ხარჯები ჩართულია საქონლის თვითღირებულების ხარჯებში), იჯარას, რომელიც დაქირავებული ფართის შემთხვევაში, 100 კვადრატულ მეტრზე, არსებული საშუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით, წელიწადში შეადგენს 9 600 ლარს, ქონების გადასახადს, რომელიც შეადგენს 140 ლარს, ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს, რომელიც არის 6 970 ლარი და სხვა ხარჯებს, რომელიც შეადგენს 2 000 ლარს, დაგვრჩება 37 710 ლარი, რაც დასაბეგრი მოგებაა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების გადასახადი, იურიდიული პირებისთვის, 15 პროცენტია. შესაბამისად თუ ამ თანხას გამოვაკლებთ 15 პროცენტს, რომელიც შეადგენს 5 655 ლარს, დაგვრჩება 32 055 ლარი წმინდა მოგება. რაც შეეხება მოგების მარჟას, შეგახსენებთ, რომ, ის ითვლება გარკვეული პერიოდის წმინდა მოგების იმავე პერიოდის შემოსავალთან შეფარდებით. შესაბამისად, თუ მოცემულ შემთხვევაში გამოთვლილ წმინდა მოგებას ანუ 32 055 ლარს გავყოფთ საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე ანუ 185 520 ლარზე და პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლის წესის თანახმად გავამრავლებთ 100-ზე, მივიღებთ 17 პროცენტს, რაც მოგების მარჟაა. აღნიშნული მონაცემი საწარმოო საქმიანობის პირველი წლისათვის დადებით მაჩვენებლად ითვლება და ბიზნეს პროცესის სწორად წარმართვის შემთხვევაში მის მომგებიანობაზე მიგვითითებს.

საწარმოს ნულოვანი მოგება

საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად საჭიროა განვიხილოთ ნულოვანი მოგება, რაც გულისხმობს პროდუქციის იმ რაოდენობის გამოთვლას, რომლის წარმოება-რეალიზაციაც მეწარმეს სრულად დაუფარავს როგორც საწარმოო ასევე მუდმივ ხარჯებს. ეს მაჩვენებელი საშუალებას მოგვცემს განსაზღვოროთ, რამდენად სწრაფად შეძლებს საწარმო მუდმივი და ცვლადი ხარჯების დაფარვას და მომგებიანობის ეტაპზე გადასვლას. გამოთვლების შედეგად, დგინდება რომ ნულოვანი მოგებისთვის 39 730 ერთეული შეფუთვის დამზადებაა საკმარისი, რისთვისაც საერთო ჯამში 2 ტონა და 590 კილოგრამი თხილის გადამუშავებაა საჭირო, პროდუქციის თვითღირებულება კი 55 100 ლარი იქნება. აღნიშნული რაოდენობის თხილის შეფუთვა-რეალიზაციისგან, ჯამში, 110 050 ლარის ოდენობის შემოსავალს მიიღებს.

ამონაგები თანხა რეალიზაციიდან	ქილების შეფუთვა კგ- ში	ერთეული ქილის ფასი	სულ შემოსავალი		
			სულ რეალიზებული კგ	სულ რეალიზებული საქონელი	სულ შემოსავალი რეალიზაციიდან
1	2	3	4	5	6
თხილი	0,150	7,00	905	6 040	42 330
	0,050	2,00	1 685	33 690	67 360
ჯამი:			2 590	39 730	109 690
ნაჭუჭი		0,10	3 580	0	360
ჯამი			3 580	0	360
სულ ჯამი			6 170	39 730	110 050

თუ ამას გამოვაკლებთ თვითღირებულების საწარმოო პროცესთან დაკავშირებულ დანახარჯს, რომელიც შეადგენს 11 280 ლარს, თვითღირებულებას, რომელიც არის 55 100 ლარი და მუდმივ ხარჯებს, რომელიც ჯამში 43 670 ლარია, მივიღებთ 0 ლარს, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების ამ ეტაპზე საწარმო ხარჯებიდან ამოსულია, ამის შემდეგ რეალიზებული ყველა ერთეული შეფუთვა კი უკვე მოგებას ნიშნავს. ვინაიდან, პროექტი გათვლილია 10 ტონა და 400 კილოგრამი თხილის გადამამუშავება-შეფუთვა-რეალიზაციაზე, ამ დაანგარიშებებით გამოდის, რომ მეწარმემ, იმისათვის, რომ აღნიშნული ბიზნეს-საქმიანობა არ იყოს მისთვის წამგებიანი, უნდა გადაამუშავოს და გაყიდოს 10,4 ტონის 59 პროცენტი მაინც.

ბალანსი

რაც შეეხება საწარმოს ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობას წლის ბოლოს, კერძოდ კი საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ ინფორმაციას შევაფასებთ საწარმოს ბალანსის მიხედვით. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ პროექტის ფარგლებში არსებობს დაშვება რომ წლის ბოლოს ყველა დებიტორული და კრედიტორული დავალიანება არის დაფარული, რის გამოც ბალანსში არ არის მონაცემები საწარმოს ვალდებულებების შესახებ.

აქტივები

<i>მიმდინარე აქტივები:</i>	
წალდი ფული	2 839 GEL
საბანკო ანგარიში	182 680 GEL
მთლიანი მიმდინარე აქტივები	185 519 GEL

<i>ძირითადი საშუალებები:</i>	
ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	500 GEL
კომპიუტერი	600 GEL
მოწყობილობა და დანადგარები	32 971 GEL
მთლიანი ძირითადი საშუალებები	34 071 GEL

<i>არამატერიალური აქტივები:</i>	
ბუღალტრული პროგრამა	800 GEL
მთლიანი არამატერიალური აქტივები	800 GEL

მთლიანი აქტივები	220 390 GEL
-------------------------	--------------------

ვალდებულებები და კაპიტალი

<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>	
დარიცხული მოგების გადასახადი	5 655 GEL
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	5 655 GEL

<i>კაპიტალი:</i>	
საკუთარი კაპიტალი	182 680 GEL
გაუნაწილებელი მოგება	32 055 GEL
მთლიანი კაპიტალი	214 735 GEL

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	220 390 GEL
--	--------------------

ბალანსის მიხედვით დგინდება, რომ საწარმოს წლის ბოლოს აქვს 183 000 ლარის მთლიანი აქტივები, რომლებიც შედგება მიმდინარე აქტივებისა და მატერიალური და არამატერიალური აქტივებისგან.

ამასთანავე აქვს გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს 32 055 ლარის ოდენობით, რომელიც დამფუძნებელს შეუძლია გაიტანოს დივიდენდის სახით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ანუ ეგრეთ წოდებული „ქეშფლოუ“, წარმოადგენს უწყისს, რომელშიც, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, კომპანიაში შემომავალი და გამავალი ფულადი სახსრებია ასახული. მისი საშუალებით, კომპანიის მფლობელს შეუძლია პროგნოზის გაკეთება, რა მოცულობის ფულადი სახსრები ექნება კონკრეტული პერიოდისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	4 კვარტალი	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი
ფულადი ნაკადების ჯამური მაჩვენებელი				
კვარტლის დასაწყისში ხელმისაწვდომი ფულის ოდენობა	0 GEL	179 185 GEL	185 100 GEL	160 415 GEL
კვარტლის ბოლოს ხელმისაწვდომი ფულის ოდენობა	179 185 GEL	185 100 GEL	160 415 GEL	176 960 GEL
ფულადი ნაკადების დაანგარიშება				
ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	31 375 GEL	5 915 GEL	-24 685 GEL	16 545 GEL
შემოსული ფულადი სახსრები საქონლის რეალიზაციიდან	66 550 GEL	42 520 GEL	12 470 GEL	62 330 GEL
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	35 175 GEL	36 605 GEL	37 155 GEL	45 785 GEL
შემენილი საქონელი (თხილი)	26 035 GEL	26 035 GEL	26 035 GEL	26 035 GEL
კომუნალური გადასახადები	90 GEL	90 GEL	90 GEL	90 GEL
იჯარა	2 400 GEL	2 400 GEL	2 400 GEL	2 400 GEL
ხელფასის სახით განაცემი	6 150 GEL	6 150 GEL	6 150 GEL	6 150 GEL
სხვა ხარჯები	500 GEL	500 GEL	500 GEL	500 GEL
საგადასახადო ხარჯი	0 GEL	1 430 GEL	1 980 GEL	10 610 GEL

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	147 808 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
საინვესტიციო შემოსავალი	182 679 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
კაპიტალში შენატანი	182 679 GEL			
საინვესტიციო ხარჯები	34 871 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	500 GEL			
კომპიუტერი	600 GEL			
მოწყობილობა და დანადგარები	32 971 GEL			
ბუღალტრული პროგრამა	800 GEL			

დაფინანსების წყაროები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოს საქმიანობის დასაწყებად საჭიროა 183 000 ლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება. საწარმოო ინვესტირება შესაძლებელია სრულად იქნას განხორციელებული საწარმოს დამფუძნებლის მიერ, ასევე შესაძლებელია ნებისმიერი პროპორციის მიხედვით განაწილებულ იყოს დამფუძნებლის პირადი შენატანითა და შედარებით დაბალპროცენტიანი სესხით, ასევე შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებითაც.

პირველ რიგში განვიხილოთ შემთხვევა როცა საწარმოო ინვესტირება სრულად განხორციელდა საწარმოს დამფუძნებლის მიერ. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტი. ამაში იგულისხმება ეკონომიკური რენტაბელობა ანუ ინვესტიციების ეფექტიანობა და მისი გამოანგარიშება მოგების დაბანდებად კაპიტალთან შეფარდებით ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რა რაოდენობის მოგებას მოგვცემს ყოველი ინვესტირებული ერთი ლარი. მოცემულ შემთხვევაში მოგება შეადგენს 32 055 ლარს, ხოლო ინვესტიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 183 000 ლარს. შესაბამისად, მათი შეფარდება და ასზე გამრავლება გვაძლევს 18 პროცენტთან უკუგების კოეფიციენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ თხილის გადამუშავება-შეფუთვა-რეალიზაცია, ინვესტორს, ყოველ დაბანდებად 1 ლარზე, 18 თეთრიან მოგებას მოუტანს. ამ პირობით, მოგების მარჟა, 17

პროცენტია, თუმცა ეს მაჩვენებელი შეიცვლება იმ შემთხვევაში თუ მეწარმე საქმიანობას მოზიდული სახსრებით წამოიწყებს. კერძოდ, თუ კომპანია აიღებს 100 000 ლარის ოდენობის 11,8 პროცენტის სესხს კომერციული ბანკიდან, 3 წლის ვადით, ხოლო დანარჩენი თანხა იქნება დამფუძნებლის პირადი შენატანი, მაშინ მოგების მარჟა 13 პროცენტამდე შემცირდება, თუმცა იგივე ანუ 18 პროცენტი დარჩება უკუგების კოეფიციენტი.

ბიზნესის რენტაბელობის საბოლოო შეფასება

საერთოდ, ბიზნესის რენტაბელობა რამდენიმე პარამეტრით, მათ შორის კონკრეტულ დარგში არსებული კონკურენციით, ბაზრის თავისებურებით, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებით, გაყიდვების მაჩვენებლებით და მოსალოდნელი მოგების მარჟით ფასდება. გაანგარიშებებმა ნათლად აჩვენა, რომ თხილის გადამამუშავება ყველა მათგანის შემთხვევაში, დადებითად ხასიათდება. კერძოდ, წარმოების ამ მიმართულებაში მომუშავე კომპანიების რიცხვი არის ძალიან მცირე, ბაზარი არ არის გაჯერებული მსგავსი პროდუქციით, პროდუქციის თვითღირებულება ჯდება ნორმის ფარგლებში და გაყიდვების მაჩვენებლები არის დამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება, მოგების მარჟას, როგორც უკვე ვნახეთ საქმიანობის ფინანსური ანალიზის შედეგად იგი წარმოადგენს 17%-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თხილის გულის წარმოება არის საშუალო რენტაბელობის ბიზნესი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში, საშუალო ოდენობის მოგებაზეა ორიენტირებული. ამ ტიპის სამეწარმეო საქმიანობა მომგებიანია იმ თვალსაზრისითაც, რომ არ მოითხოვს ძვირადღირებული საწარმოო საშუალებების შეძენას და ამ მიმართულებით გაწეული დანახარჯების ამოღება მეწარმეს მოკლე პერიოდში შეუძლია.

საწარმოო სტანდარტები და სურსათის უვნებლობა

წარმოების სანიმუშო პრაქტიკაში, უვნებელი საკვები პროდუქტების, მათ შორის თხილის გულის შეფუთვების დამზადებისთვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს ინფრასტრუქტურის სწორ დაგეგმარებას და მოწესრიგებას. აღნიშნული საშუალებას აძლევს მეწარმეს თავიდან აიცილოს გარემოდან ჯვარედინი დაბინძურების საფრთხეები და აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. შესაბამისად, მან აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგ დეტალებს:

- ტერიტორიას - სურსათის გადამამუშავებელი საწარმოსთვის ადგილის შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იქნას მიმდებარე პოტენციური დაბინძურების წყაროები;
- კონსტრუქციას - შენობა უნდა იყოს მყარი კონსტრუქციისა, კარგ მდგომარეობაში და გამძლე მასალებისგან აგებული;
- საამქროების განლაგებას - საამქროებისა და სათავსოების მდებარეობა უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ნედლეული და მზა პროდუქტი არ გადაიკვეთოს;
- სავენტილაციო სისტემას - საწარმო ალჭურვილი უნდა იყოს საკმარისი ბუნებრივი და მექანიკური ვენტილაციით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება გარემოდან პროდუქტის დაბინძურების შესაძლებლობის შემცირება და შენობაში გაკონტროლდება ტემპერატურა და ფარდობითი ტენიანობა;
- სველ წერტილებს - საწარმოში აუცილებლად უნდა იყოს მოწყობილი საპირფარეშოები და ხელსაბანები;
- გასახდელს - საწარმოში აუცილებლად უნდა იყოს ტანსაცმლის გამოცვლისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილები;
- სათავსოებს - საწარმოში უნდა არსებობდეს ნედლეულის, მზა პროდუქტის, შესაფუთი და სხვა დამხმარე საშუალებების და მასალების შესანახი საწყობები;
- წყალმომარაგებას და კანალიზაციას - საწარმოში გამოყენებული წყალი აუცილებლად უნდა იყოს სასმელი და აკმაყოფილებდეს საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, ხოლო საკანალიზაციო სისტემა უნდა მუშაობდეს გამართულად;

თხილის გადამუშავება-რეალიზაციის ციკლში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შენახვის წესების დაცვასაც. ამ შემთხვევაში პროდუქტი უნდა განთავსდეს აუცილებლად პალეტზე და კედლიდან, სულ მცირე, 50 სანტიმეტრის დაშორებით, ხოლო შესაფუთი მასალა აუცილებლად სუფთად უნდა ინახებოდეს და შეფუთული იყოს მისი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. იმისათვის, რომ ხელი არ შეეწყოს ობის სოკოს განვითარებას, აუცილებელია შენახვისას ტემპერატურა იყოს 10 გრადუს ცელსიუსზე ნაკლები, ხოლო ფარდობითი ტენიანობა 70 პროცენტზე ნაკლები. რაც შეეხება უშუალოდ პროდუქციას, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული თხილის ტექნიკური რეგლამენტის პროექტის თანახმად, მოხალული და ბლანშირებული ანუ კანგაცლილი თხილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს დამახასიათებელი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების;
- არ უნდა ჰქონდეს ნებისმიერი მავნებლით გამოწვეული შეუიარაღებელი თვალით ხილული დაზიანება;
- არ უნდა ჰქონდეს ობისა და სიდამპლის ნიშნები;
- არ უნდა იყოს დამძაღებული;
- თავისუფალი უნდა იყოს ცოცხალი ან/და მკვდარი მავნებლებისა და მწერებისაგან და მათი ნარჩენებისაგან;
- უცხო მინარევების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,05%-ს;
- არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი და გემო;
- გადამუშავებული თხილის გულის სინესტის მასური წილი, თუ ის მიღებულია კანგაცლილი (ბლანშირებული) ან სხვა ტიპის კანგაცლილი (ბლანშირებული) თხილის გულიდან არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს;
- გადამუშავებული თხილის გულის სინესტის მასური წილი, თუ ის მიღებულია მოხალული ან სხვა ტიპის მოხალული თხილის გულიდან არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს;

- გადამუშავებული თხილის გულები, ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს მრგვალი, რომლის დიამეტრი მისი სიგრძის ტოლია და აქვს მრგვალი ფორმა და მოგრძო, რომლის სიგრძე დიამეტრზე მეტია და აქვს მოგრძო ფორმა;
- გადამუშავებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საღი და დაზიანებული თხილის გული.

აღსანიშნავია, რომ მოცემული რეგლამენტით რეგულირდება ნედლეულისთვის საბაზრო სახის მიცემა ანუ შეფუთვაც. ამ შემთხვევაში თხილის პროდუქტებისთვის წაყენებული მოთხოვნები ასეთია:

- გადამუშავებული თხილის გულის შეფუთვისათვის გამოყენებული მასალა უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სანიტარულ - ჰიგიენურ მოთხოვნებს;
- გადამუშავებული თხილის გულის შეფუთვისათვის გამოყენებული მასალა უნდა იცავდეს პროდუქტს შიდა და გარე დაზიანებისაგან და გავლენას არ უნდა ახდენდეს შეფუთული ერთეულის შიგთავსზე;
- თითოეული შეფუთული ერთეული უნდა შედგებოდეს ერთგვაროვანი ჯგუფის, კლასისა და კომერციული ტიპის თხილის გულისგან;
- თხილის გული შესაძლებელია ბაზარზე განთავსდეს ტომრებით ან მაგარი შეფუთვით. მცირე დაფასოების შემთხვევაში სამომხმარებლო შეფუთვა თითოეულ დიდ შეფუთვაში უნდა იყოს ერთი და იმავე წონის;
- გადამუშავებული თხილის გულის 50 გრამიანი შეფუთული ერთეულიდან მასის დასაშვები გადახრა შეიძლება იყოს 4 პროცენტი;
- გადამუშავებული თხილის გულის 150 გრამიანი შეფუთული ერთეულიდან მასის დასაშვები გადახრა შეიძლება იყოს 2,5 პროცენტი;

თხილის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულია ასევე ეტიკეტირებასთან დაკავშირებული რეგულაციებიც. კერძოდ:

- ბაზარზე განთავსებული გადამუშავებული თხილის გულის ეტიკეტმა, აღწერილობამ და წარდგენამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი;

- თხილის გულის ეტიკეტი უნდა განთავსდეს შეფუთული ერთეულის თითოეულ მხარეს და შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას მწარმოებლისა და პროდუქტის შესახებ;
- იმ შემთხვევაში, თუ თხილის გული შეფუთულია ქაღალდის ან პოლიეთილენის გარდა სხვა შესაფუთი მასალისაგან დამზადებულ ორმაგ ტომრებში, ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს ნეტო წონა და პროდუქტის ვარგისიანობის ვადა.
- თუ გადამუშავებული თხილის გულის მცირე შეფუთვები მოთავსებულია დიდ შეფუთვაში, განსაზღვრული ინფორმაცია და მცირე შეფუთული ერთეულების რაოდენობა მითითებული უნდა იქნეს დიდი შეფუთვის ეტიკეტზე.

ნიშანდობლივია, რომ ამ დოკუმენტით, თხილის პროდუქტებზე, ვრცელდება სხვა ტიპის რეგულაციებიც, რომელთა გაცნობაც მეწარმისთვის სავალდებულოა, თუმცა აქვე კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ თხილის ტექნიკური რეგლამენტი ამ ეტაპზე წარმოადგენს პროექტს და არ არის გამორიცხული დამტკიცებისა და ოფიციალურად ამოქმედების მომენტისთვის, მასში შეტანილი ინფორმაცია იყოს შეცვლილი ან კიდევ უფრო მეტად დაზუსტებული.